ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №385/2018

ქ. თბილისი „11“ სექტემბერი 2018 წელი.

ერთის მხრივ, **სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის **ზურაბ ჩეკურაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **დავით კარანაძის** სახით, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების მიერ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის №496 განკარგულების საფუძველზე, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,** ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ„ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით/მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ - ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

1.6. „სისტემა“ - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა „eDocument“;

1.7. „ხარვეზი“ - პროგრამული ან მონაცემთა ბაზის გაუმართაობა, რომელიც გამოწვეულია პროგრამული კოდის ან ბაზის სტრუქტურული ნაკლით და არ არის დაკავშირებული IT ინფრასტრუქტურის პრობლემასთან ან სისტემური ადმინისტრირების არასწორ/არასრულ განხორციელებასთან.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის, წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად, სისტემის განვითარების, მხარდაჭერის, ტექნიკური მომსახურების, მიმწოდებლის სერვერზე განთავსებისა და მისი ადმინისტრირების მომსახურების (**CPV72260000**) გაწევა, შემსყიდველის არაუმეტეს **340 (სამასორმოცი)** მომხმარებლისთვის.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **8,160.00 (ოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცი)** ლარს,

3.2. მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს **2,720.00 (ორი ათას შვიდასოცი)** ლარს;

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.6. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკუთარი შემოსავლები.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2018 წლის 1 ოქტომბრიდან - 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

4.1.2 განახორციელოს სატელეფონო კონსულტაციის გაწევა ცხელი ხაზის მეშვეობით, ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

4.1.3 უზრუნველყოს დანართი №1-ით გათვალისწინებული ტრეინინგის განხორციელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაზედაც მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

4.1.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობა;

4.1.5 გეგმიური ტექნიკური სამუშაოების განხორციელების გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომსახურების გაწევის დროებითი შეფერხების შესახებ წინასწარ წერილობით ან/და ამავე მუხლის 4.4 პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულთან დაკავშირებით, შეფერხების დროისა და მისი ხანგრძლივობის მითითებით;

4.1.6 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.2. ხელი შეუწყოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარებაში, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასევე უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარებისთვის შესაბამისი ადგილისა და თანამშრომლების გამოყოფა.

4.2.3. მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომხმარებლების ზღვრული ოდენობა და მიმწოდებელთან შესაბამისი შეთანხმების გარეშე, არ დაუშვას სისტემაში ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებულ მომხმარებლებზე მეტი მომხმარებლების ჩართვა.

4.2.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.3. ამ მუხლის 4.1.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დროებითი შეჩერების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამგვარი შეჩერებით გამოწვეულ/შექმნილ ნებისმიერ უწესივრობაზე.

4.4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოონ წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (მიმწოდებლის ელ. ფოსტა: 1551@mof.ge, შემსყიდველის ელ. ფოსტა: mzia.gelbakhiani@nfa.gov.ge) მეშვეობით.

4.5. მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მომსახურების გაწევის მიზნით მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება იწარმოებს ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები არიან სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანებით დადგენილი, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

7. მომსახურების გაწევის ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს (არსებობის შემთხვევაში) და დანართი №1-ით განსაზღვრულ პირობებს. იგი იძლევა გარანტიას, რომ

გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება. (მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი). აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 (ხუთი) დღით ადრე.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეათამხმებით.

13.7. ამ მუხლის 13.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 თებერვლამდე.

15.2. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1 წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ზურაბ ჩეკურაშვილი	სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური დავით კარანაძე
სააგენტოს უფროსი საბანკო რეკვიზიტები: ს/კ: 205142200 ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი:TRESGE22 ა/ა 200101222	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი საბანკო რეკვიზიტები: ს/კ: 204577813 სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707907143

სისტემის განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, განთავსება მიმწოდებლის სერვერზე და მისი ადმინისტრირება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

მხარდაჭერა

1. სამომხმარებლო დოკუმენტაცია;
2. სატელეფონო კონსულტაციები სამუშაო დღეებში 09.00 სთ-დან - 18.00 სთ-მდე, ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 1551);
3. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ტრენერებისათვის; შესაძლებელია განხორციელდეს 2 (ორი) დამატებითი ტრენინგი, მ.შ დისტანციური სწავლება.

განახლება

1. ახალი ვერსიის გამოშვების შემთხვევაში დანერგილი სისტემის განახლება;
2. საჭიროების შემთხვევაში, სიახლეებთან დაკავშირებული ტრენინგი ტრენერებისთვის.

სისტემის განთავსება მიმწოდებლის სერვერზე, სისტემის ადმინისტრირება:

1. სისტემის განთავსება მიმწოდებლის სერვერზე;
2. სარეზერვო კოპირება;
3. დატვირთვის ბალანსირება;
4. სისტემის, ქსელური და უსაფრთხოების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

შენიშვნა: 1 (ერთი) ტრენინგი (ერთჯერ) ნიშნავს - ერთდროულად მაქსიმუმ 15 (თხუთმეტი) მომხმარებლის (შემსყიდველის თანამშრომლის) ტრენინგს (მეცადინეობას) 2 (ორი) საათის განმავლობაში.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ზურაბ ჩეკურაშვილი	სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური დავით კარანაძე
სააგენტოს უფროსი	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ----------

იურიდიული დეპარტამენტი ----------

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი ----------

ადმინისტრაციული დეპარტამენტი ----------

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო ----------

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირები:

1. გერონტი ფრუიძე ----------
2. ფრიდონ ალავიძე ----------
3. ილია რიკაძე ----------
4. სალომე ბანძელაძე ----------
5. ანუკა თვარაძე ----------